



ერთი შინაარსის შემცველი რამდენიმე ეკონომიკური სინონიმური სნება-ტერმინის მართებულობისათვის

რეზიუმე

სპეციალურ ეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში გვერდიგვერდ იხმარება ეკონომიკური ტერმინები „საგადასახადო წნეხი“, „ბეგარისებური წნეხი“, „საგადასახადო დაბეგვრის უკიდურესი დონე“, „საგადასახადო დაბეგვრის სრული განაკვეთი“, „საგადასახადო დატვირთვა“, „საგადასახადო ტვირთი“. ავტორების აზრით, ყველაზე ხშირია „საგადასახადო ტვირთის“ ხმარება, რომელიც კალკირებული ფორმაა (იხ. საგადასახადო ტვირთი [სიმძიმე], ტახ ბურდენ, სინ. ბურდენ ოფ ტახატონ, налоговое бремя - იხ. რ. ბერულავა, ქართულ-ინგლისურ-რუსული პროფესიული განმარტებითი ლექსიკონი ი. მესხიას და ალ. დლონტის რედაქციით, თბ., 1999, გვ. 288). მათივე აზრით, შემოჩამოთვლილთაგან უფრო მართებულია ქართულში დამკვიდრდეს ტერმინები „საგადასახადო წნეხი“ ან „საგადასახადო პრესი“.

სპეციალურ ეკონომიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს არაერთი სპეციფიკური ცნებით-ტერმინოლოგიური სინონიმური გამონათქვამი, რომელთა ნორმატიული ხმარება-გამოყენება და სამეცნიერო ლიტერატურაში მართლზომიერი დამკვიდრება სპეციალისტების ვალია. ასეთ ცნებით-ტერმინთა რიგს განეკუთვნება დღემდე ეკონომიკურ ლიტერატურასა და ნორმატიულ დოკუმენტებში ე. წ. „საგადასახადო ტვირთის“ ცნების განსაზღვრის აღსანიშნი ცნებით-ტერმინოლოგიური შინაარსის შემცველი ისეთი შესიტყვებები, როგორიცაა:

1. „საგადასახადო ტვირთი“;
 2. „საგადასახადო წნეხი“;
 3. „ბეგარისებური წნეხი“ („ბეგარისებრი წნეხი“);
 4. „საგადასახადო დაბეგვრის უკიდურესი დონე“;
 5. „საგადასახადო დაბეგვრის სრული განაკვეთი“;
 6. „საგადასახადო დატვირთვა“ [1, 179].
- დაისმის რამდენიმე კითხვა:

რას ნიშნავს ზემოთ მოყვანილი ეს 6 სინონიმური შინაარსის მქონე სპეციფიკური ცნებები-

ბადრი ცხადაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ-ს პროფესორი

E-mail: zebede@rambler.ru

ვეზენი ბარათაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი, სტუ-ს პროფესორი

E-mail: barata49@mail.ru

ვახტანგ დათაშვილი

სტუ-ს პროფესორი

E-mail: social_economica@mail.ru

თი გამოთქმა? რომელია უფრო მართებული და ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართული ტერმინოლოგიის პრინციპებს მისადაგებული?

ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ შემოჩამოთვლილ სინონიმურ გამოთქმათაგან ბოლო სამი გამონათქვამი არ შეიცავს არავითარ ცნებით შინაარსს, ისინი უფრო ზოგად დახასიათებაა გადასახადის ერთ-ერთი ფორმისა. შდრ. „საგადასახადო დაბეგვრის უკიდურესი დონე“, „საგადასახადო დაბეგვრის სრული განაკვეთი“, „საგადასახადო დატვირთვა“. მართლაც ესენი ჩვეულებრივი წინადადებებია. ამიტომ როგორც ცნებები, უკუსაგდებია.

დავგრჩა პირველი სამი:

„საგადასახადო ტვირთი“;

„საგადასახადო წნეხი“;

ბეგარისებური წნეხი” (ბეგარისებრი წნეხი);

შენიშვნა: ეს უკანაგელი ე. წ. ცნებითი შესიტყვება „ბეგარისებური წნეხი“ (ბეგარისებრი წნეხი), თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების თვალსაზრისით, მცდარი ფორმა გახლავთ. უნდა იყოს: „ბეგარისებური წნეხი“ (ბეგარისებრი წნეხი), შდრ. ბეგარა – ბეგარის (ბეგარა ქართულში კუშვად-კვეცადი სახელია, ე. ი. ერთდროულად იკუმშება და იკვეცება კიდეც!).

ბოლო სინონიმური სამეული წინას აშკარად ჯაბნის, როგორც შინაარსით, ისე ცნებითობის გამოხატვით, რაშიც ლამის ცნების ჩამოყალიბებაში თანაბარი წონა აქვს სინტაგმური ერთეულის თითოეულ წევრს: პრეპოზიციურს – „საგადასახადო“-ს, „ბეგარისებურ“-ს („ბე-



გარისებურ“-ს) და პოსტპოზიციურს – „ტვირთს“, „წნეხს“.

პრეპოზიციურ სინტაგმურ ერთეულებს საგადასახადოს და ბეგარისებურს (ბეგარისებრს) აშკარად სჯობს **ბეგ[ა]რისებრი**, რადგან ეს უკანასკნელი ცნება-ტერმინის შინაარსსაც ატარებს (შდრ. კატისებრთა) და არქაულობასაც სძენს გამონათქვამს. ბეგ[ა]რისებური კი მასთან შედარებით ვერ გამოხატავს მეცნიერული ტერმინის ფორმა-შინაარსს, რადგან იგი უფრო ზეპირი მეტყველების ნიუანსს ასახავს (შდრ. თავისებური კაცი, ჩვენებური, შენებური ლაპარაკი...). რაც შეეხება პრეპოზიციურ სინტაქსური წყვილის პირველ ერთეულს საგადასახადოს („საგადასახადო ტვირთი“) ცნება-ტერმინის გამოხატვის თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, თითქოს არ დაიწუნება, მაგრამ იგი ცნება-ტერმინის შესაქმნელად არ გამოგვადგება, რადგან „საგადასახადო“ ზოგადი ტერმინია, ეკონომიკურ ტერმინოლოგიაში თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, და „საგადასახადო ტვირთს“ ნამდვილად ვერ იკისრებს, ასე რომ, ეს სიტყვა ცნების შესაქმნელად, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უკუსაგდება.

და ბოლოს: განსახილველი დაგვრჩა პოსტპოზიციური სინტაგმური ერთეულები „ტვირთი“ და „წნეხი“.

რადგან ტვირთი (ისე როგორც საგადასახადო) ზოგადი სიტყვაა (და სიმძიმე-ზეწოლასთან ასოცირდება) და ქართულ ენაში ნიშნავს:

1. გადასატანი, გადასაზიდი სიმძიმე, – ბარგი; საპალნე. 2. გადატ. (ცხოვრების...) სიმძიმე, სიძნელე, – გაჭირვება. 3. რასაც ერთი ადამიანი (ხელით, ზურგით...) წაიღებს ??ზედმეტი ტვირთი იგივეა, რაც მეტე (ზედმეტი) ბარგი). ??**ტვირთის ცხენი** იგივეა, რაც ბარგის ცხენი (იხ. ბარგი).

ტვირთისგან არის ნაწარმოები არაერთი სიტყვა-ტერმინი:

ტვირთავ-ს 1. ტვირთს ადებს, ტვირთს აკიდებს, ტვირთით ავსებს. 2. გადატ. ზედმეტ საქმეს, სამუშაოს, დავალებას აძლევს, აკისრებს; **ტვირთაკიდებულ**-ი ვისაც ან რასაც ტვირთი აქვს აკიდებული, – ბარგიანი, ტვირთიანი. ტვირთაკიდებული ცხენი; **ტვირთამწე** (ტვირთამწისა) სპეც. მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ხდება ტვირთის მექანიკური გადაზიდვა (ქვევიდან ზევით), – ამწე; **ტვირთამწეობა** (ტვირთამწეობისა) სპეც. ტვირთის აწევის, ზიდვის უნარი; **ტვირთ-ბარგი**-ი (ტვირთ-ბარგისა) მატარებლის საბარგო ვაგონით გადაზიდული ტვირთი, – ბაგაჟი; **ტვირთბრუნვა** (ტვირთბრუნვისა) სპეც. გარკვეული დროის განმავლობაში ტვირ-

თის გადაზიდვა; **ტვირთგადამუშავება** იგივეა, რაც **ტვირთდამუშავება**; **ტვირთდამუშავება** სპეც. ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვა და მასთან დაკავშირებული სამუშაოს შესრულება; **ტვირთდაძაბულობა** სპეც. განსაზღვრული დროის განმავლობაში (მიმოსვლის გზებზე, რაიმე სახის ტრანსპორტით) გარკვეული რაოდენობის ტვირთის გადაზიდვა; **ტვირთდენა** (ტვირთდენისა) სპეც. ტვირთის გატარება გზებზე; ტვირთის გადაზიდვა რაიმე სახის ტრანსპორტით; **ტვირთვა** 1. ტვირთის დადება, აკიდება; ტვირთით გავსება. გემის ტვირთვა. 2. გადატ. სახელი **იტვირთებს** ზმნის მოქმედებისა, – თავის თავზე ადებს, კისრება. 3. ფიზ. იგივეა, რაც **დამუხტვა**; **ტვირთზიდვა** იგივეა, რაც **ტვირთბრუნვა**; **ტვირთზიდვის უნარიანობა** სპეც. ტვირთის ზიდვის უნარი, – ტვირთამწეობა; **ტვირთიან**-ი ტვირთის მქონე, – ბარგიანი, დატვირთული. **ტვირთშიდავ**-ი სპეც. იგივეა, რაც **ტვირთამწე**; **ტვირთშიდაობა** სპეც. იგივეა, რაც **ტვირთამწეობა**; **ტვირთმიმღებ**-ი (ტვირთმიმღებისა) სპეც. პირი, ვის სახელზედაც გამოგზავნილია ტვირთი; **ტვირთმოძრაობა** იგივეა, რაც **ტვირთბრუნვა**; **ტვირთმიმე** 1. ვისაც ან რასაც მძიმე ტვირთი ადევს. 2. ცხოვრების ტვირთით დამძიმებული, – გაჭირვებული, ღარიბ-ღატაკი; **ტვირთნაკად**-ი სპეც. ტვირთის მოძრაობა, გადატან-გადმოტანა მიმოსვლის გზებზე, განსაზღვრული დროის განმავლობაში; **ტვირთსაზიდ**-ი რითაც ტვირთს ზიდავენ, რაც ტვირთის ზიდვას ემსახურება, **ტვირთსაზიდად** ზმნს. ტვირთის ზიდვისათვის; **ტვირთტევადობა** სპეც. ტვირთის დატევის უნარი; **ტვირთულობ**-ს ტვირთად იღებს; თავის თავზე იღებს, – კისრულობს; **ტვირთქვეშ** გადატ. მძიმე შრომაში, შრომის უძვლქვეშ; **ტვირთწევა** (ტვირთწევისა) ტვირთის აწევა, ტვირთის ზიდვა. ??**ტვირთწევის ძალა** იგივეა, რაც **ტვირთამწეობა** [2].

მაგრამ ზემოთყვანილ მაგალითებში, არც ერთ შემთხვევაში, „ტვირთს“ არა აქვს ის მნიშვნელობა, რაც ცნება „საგადასახადო ტვირთ“-ში გვაქვს. ვგულისხმობთ მისი „მხატვრული“ დანიშნულებით გამოყენებას. დიახ. ცნება „საგადასახადო ტვირთი“ (შდრ. გამოთქმა „ტვირთად მაწევს“) ეკონომისტების მიერ მეტაფორული შინაარსით შექმნილი ცნებაა, სწორედ ამიტომ არ გამოგვადგება იგი არც ცნებად და არც ტერმინად. და თუ გამოვიყენებთ, არაეკონომისტ მკითხველს (საქმეში ჩაუხედავს) გაუჭირდება გააზრება იმისა, თუ რა საგადასახადო ტვირთია ასეთი, რომელიც, საგადასახადების სახით არ უნახავს!

სანიმუშოდ მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილს



და დაერწმუნდებით:

1. „საგადასახადო ტვირთის განაწილების ოპტიმიზაცია“;

2. „ქვეყნის ეკონომიკაში გადასახადის გადამხდელთა საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზური განაწილების საკითხი კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად“;

3. „ამ ცნებათა მკაფიო გამოიჯენისა და მკაცრი განსაზღვრის გარეშე, ძალიან ხშირად საგადასახადო ტვირთი ფასდება სახელმწიფოს მიერ ამოღებული სავალდებულო გადასახადების (ასევე მოსაკრებლების და გადასახდელების) საერთო მოცულობის სიდიდის შეფარდებით მთლიან შიგა პროდუქტთან“;

4. მთლიანი საგადასახადო ტვირთი იზომება აბსოლუტური გამოხატულებით - ფულად ერთეულებში. თუმცა ამგვარი მიდგომისას ძალიან ძნელია საგადასახადო ტვირთის სიმძიმეზე მსჯელობა, ვინაიდან მსგავსი მიდგომა საჭიროებს შესაპირისპირებელი ბაზის არსებობას, მოქმედი საგადასახადო დაბეგვრის ნორმების შედარებას საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმალურ დონესთან ფულად გამოხატულებაში, რომლებიც რეალურად არ არსებობს;

5. „საგადასახადო ტვირთის ეს მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკაში არსებულ მდგომარეობას სრულად ვერ ასახავს, რადგანაც ფაქტობრივად აკრეფილი საგადასახადო შემოსავლები პოტენციურად არსებულ საგადასახადო შემოსავლებს არ მოიცავს, ხოლო აღრიცხული ერთობლივი შიგა პროდუქტის მაჩვენებლების „მიღმა“ ჩრდილოვანი ეკონომიკა რჩება, რაც სხვადასხვა მიზეზის გამო, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა, საგადასახადო ტვირთის სიმძიმით არის გამოწვეული“ [3, 243]

6. შეიძლება უფრო ობიექტურად და დამაჯერებლად მსჯელობა სამრეწველო და სხვა საწარმოო დაწესებულებების საგადასახადო ტვირთის შესახებ საგადასახადო განაკვეთების პროცენტული სიდიდის მიხედვით, მაგრამ ასეთი მიდგომისას სხვადასხვა სახის გადასახადების საგადასახადო დაბეგვრის ბაზების განსხვავების გამო საგადასახადო ტვირთის შედარებით მათი წვლილის შეფასება ვერ ხერხდება;

7. ვინაიდან გადასახადი თავისთავად წარმოადგენს ეკონომიკური სუბიექტის შემოსავლის ნაწილის ამოღებას ბიუჯეტის სასარგებლოდ, საგადასახადო ტვირთის (გადასახადების რიცხვის ზრდა, საგადასახადო განაკვეთების გადიდება) გაძლიერებას მიყვავართ ერთობლივი მოთხოვნის ისეთი კომპონენტების

კლებამდე, როგორცაა პირადი მოხმარება [1, 180];

შენიშვნა: ცნება-ტერმინი „საგადასახადო ტვირთი“ პრესაშიც იხმარება: მაგ., სერგო რატიანი უნივერსიტეტებისთვის საგადასახადო ტვირთის შემცირების ინიციატივით გამოდის. „სერგო რატიანის შეფასებით, საგადასახადო ტვირთის შემცირების შედეგად უნივერსიტეტებს შესაძლებლობა მიეცემათ დაზოგილი თანხა სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას და სტუდენტების, პროფესორების და მკვლევარებისათვის უკეთესი სამუშაო პირობების შექმნას მოახმარონ“ (იქვე).

„საგადასახადო ტვირთის“ ზუსტად გაგება-გააზრებაში ზემოთ ბოლო მე-7 წინადადება დაგვეხმარა.

ბოლო მაგალითით გაირკვა, რომ: საგადასახადო ტვირთი მართლაც მხატვრული-მეტაფორული გამოთქმაა და არა ცნება. საგადასახადო ტვირთი განიმარტება, როგორც სახელმწიფოსაგან საკუთარი მოსახლეობის დაჩაგვრა ზედმეტი გადასახადით, რაც გამოიხატება გადასახადების რიცხვის ზრდით, საგადასახადო განაკვეთების გადიდებით და ა. შ.

განსახილველი და შესაფასებელი დაგვრჩია უკანასკნელი ცნება-ტერმინი „საგადასახადო წნეხი“.

ზემომოყვანილი ე. წ. 6 „ცნებიდან“ მხოლოდ ეს არის ცნება-ტერმინი, რომელიც გვაცნობიერებინებს შესიტყვების არსს და შინაარსს.

ჩვენი აზრით, სწორედ ეს გახლავთ ცნება-ტერმინი, რომელიც ზუსტად შეესატყვისება სახელმწიფოსაგან მოსახლეობის ზედმეტად დაბეგვრას. ამ ცნებაში ძირითადი დატვირთვა აქვს „წნეხ“ სიტყვას (შდრ. წნეხი (წნეხისა) 1. რისამე დასატკეპნი ან დასაწური მოწყობილობა, – პრესი; წნეხ-ს (დაწნეხა, დაუწნეხია) გრდმ. წნეხით ტკეპნის, წნეხში იტარებს. თივას წნეხს. || წურავს (ყურძენს), ხდის (ზეთს); წნეხი (წნეხისა) სახელი წნეხს ზმნის მოქმედებისა, – წნეხით ტკეპნა. თივის წნეხი. || წურვა (ყურძნისა), გამოხდა (ზეთისა). ყურძნის წნეხა; წნეხვა (წნეხვისა) იხ. წნეხი; წნეხილ-ი რაც [და]წნეხეს ან [და]იწნეხა, – ნაწნეხი, დაწნეხილი, დაპრესილი [2].

შეიძლება დავასკვნათ: სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის ზედმეტად დაბეგვრის აღსანიშნავად – საგადასახადო დაბეგვრისას უნდა გამოვიყენოთ ცნება-ტერმინი საგადასახადო წნეხი ან საგადასახადო პრესი.

ჩვენ, პირადად, პირველ მათგანს ვირჩევთ.



გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარათაშვილი ე., აბრალავა ა., ბახტაძე ლ., კაკულია რ., გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა (სახელმძღვანელო), თბ., 2015.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (რვატომეული), არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბ., 1954-1964.
3. პაპავა ვლ., პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., 2002.
4. სერგო რატიანი უნივერსიტეტებისთვის საგადასახადო ტვირთის შემცირების ინიციატივით გამოდის. იხ. დრონი, 13 აპრილი. 2015: droni.ge. www.bpn.ge/finansebi/ 10774.

ON THE ORIGIN OF SEVERAL ECONOMIC SYNONYMOUS CONCEPTS-TERMS HAVING ONE CONTENT

BADRI TSKHADADZE - *Professor of GTU, Doctor of Philological Sciences*
E-mail: zebede@rambler.ru

YEVGENY BARATASHVILI - *full Professor of GTU, Doctor of Economic Sciences*
E-mail: barata49@mail.ru

VAKHTANG DATASHVILI - *full prof. of GTU*
E-mail: social_economica@mail.ru

Summary

In special economic scientific literature the economic terms “taxation pressure,” “duty-like pressure,” “extreme level of taxation,” “full rate of taxation,” “taxation load,” “taxation burden” are used in parallel. In the authors’ opinion, most frequently the term “taxation burden” is used, which is a calque form (see taxation burden [load], syn. burden of taxation, „საგადასახადო ტვირთი”, налоговое бремя – see R. Berulava, Georgian-English-Russian Professional Explanatory Dictionary edited by I. Meskhia and Al. Ghlonti, Tb., 1999, p. 288). In their opinion, among the above listed terms it is more correct to introduce into Georgian the terms “taxation pressure” or “taxation press.”

К ПРОИСХОЖДЕНИЮ НЕСКОЛЬКИХ ЭКОНОМИЧЕСКИХ СИНОНИМИЧЕСКИХ ПОНЯТИЙ-ТЕРМИНОВ, ИМЕЮЩИХ ОДНО СОДЕРЖАНИЕ

БАДРИ ЦХАДАДЗЕ - *профессор ГТУ, доктор филологических наук*
E-mail: zebede@rambler.ru

ЕВГЕНИЙ БАРАТАШВИЛИ - *профессор ГТУ, доктор экономических наук*
E-mail: barata49@mail.ru

ВАХТАНГ ДАТАШВИЛИ - *профессор ГТУ*
E-mail: social_economica@mail.ru

Резюме

В специальной экономической научной литературе параллельно используются экономические термины «налоговое давление», «давление наподобие повинности», «крайний уровень налогового обложения», «полная ставка налогового обложения», «налоговая нагрузка», «налоговое бремя». По мнению авторов, наиболее часто используется «налоговое бремя», которое является калькированной формой (см. налоговое бремя [тяжесть], საგადასახადო ტვირთი, taxation burden, син. burden of taxation - см. Р. Берулава, Грузинско-английский-русский профессиональный толковый словарь под редакцией И. Месхиа и Ал. Глonti, Тб., 1999, стр. 288). По их же мнению, из вышеперечисленных терминов правильнее будет внедрить в грузинский язык термины «налоговое давление» или «налоговый пресс».